საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

3653-01-2-202010161320

N 01/3653
16/10/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

"დაბა სურამის გენერალური გეგმასა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს 2020 წლის 18 მაისის N 01/5237 წერილით გადმოგზავნილი დასკვნის შესაბამისად, სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე რეკომენდაციების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ შემდეგ დოკუმენტაციას:

1. დაბა სურამის გენერალური გეგმის პროექტი
2. სგშ-ის ანგარიში
3. სგშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე
4. გეომონაცემთა ბაზა
5. დაბა სურამის გენერალური გეგმის სამოქმედო გეგმა
6. დანართები

ამასთან, გაცნობებთ, რომ, ვინაიდან საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2020 წლის 18 სექტემბერს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში" განხორციელდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პანდემიის/ეპიდემიის დროს, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჯარო განხილვის დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების შესაძლებლობას, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტისა და სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მიმდინარე წლის 30 ნოემბერს 13:00 საათზე. განხილვა იქნება ღია, მათში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

საჯარო განხილვაზე დასწრების ბმული: https://meet.mrdi.gov.ge/sajarogankhilv

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

გთხოვთ, დაიწყოთ „დაბა სურამის გენერალურ გეგმასა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“–ს 2020 წლის 18 მაისის N 01/5237 წერილით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, მომზადებული დოკუმენტაციის განხილვა და გასცეთ შესაბამისი რეკომენდაციები სგშ-ის ანგარიშთან და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით.

აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შემდეგი მისამართიდან:
https://drive.google.com/file/d/1qn3urNqlEDjQ-LJBhlDkbklHvXrUB5QI/view?usp=sharing

ნინო გვენცაძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი